გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

06 თებერვალი 2024

N 725/01

ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

თქვენი წერილის (#01-01-10/6469 21.11.2023) პასუხად, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, ბათუმის ქუჩაზე მდებარე 5731 კვ.მ. დაურეგისტრირებელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდგომ, განკარგვის საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ნაკვეთი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში. რაც შეეხება ნაკვეთის მდებარეობას სახელმწიფო ტყის ფონდში, გაცნობებთ შემდეგს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდი არ წარმოადგენს სსიპ ეროვნულ სატყეოს სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის ფონდს მართავს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #21/999 06.02.2024; #21/774 31.01.2024) წარმოდგენილი ფართობი მდებარეობს შავი ზღვის ტერიტორიაზე, ასევე აღნიშნული უბანი წარმოადგენს ჩაქვის სანაპირო ზონის ნაპირგასწვრივი პლაჟწარმომქმნელი ნაკადის გავრცელების ტრანზიტულ მონაკვეთს. ამდენად, წარმოდგენილი ნაკვეთის ათვისება-განაშენიანებამ არ უნდა შეაფერხოს ნატანის ნაპირგასწვრივი გადაადგილება. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს კანონის „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ მიერ დადგენილი მოთხოვნები.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის მოადგილე